



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 2

18 / იანვარი / 2018 წ.

დადგენილება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 32-ე მუხლის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები“ დანართის შესახების დ.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 აგვისტოს №20 დადგენილება (www.matsnc.gov.ge, 09/08/2017; 190040000.35.162.016407).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და დანართის 1-3 პუნქტებში მითითებულ თანამდებობის პირებზე გავრცელდეს 2018 წლის I იანვრიდან, ხოლო, დანართის მე-4 პუნქტში მითითებულ თანამდებობის პირებზე გავრცელდეს 2017 წლის 25 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.



ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

თ

თამარ ყვინიშვილი

დანართი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1800
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1500
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1000

